№ 167. 9 აგვისტო, შაბათი. 1866—1880

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

**რედაქცია**

ოფენახშეიდანზე, ქუაბაზრის თავში მარცხნივ თ. ლუარსაბ რატიშვილის სახლში, № 2.

**ხელის-მოწერა**

მიიღება „დროება“-„ივერიის“ რედაქციაში. გარე ცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакціи Дроэба“-„Иверіи“.

**„დროება“-„ივერიის“ ფასი**

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“-„ივერია“ ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა 2 მან.

შეინახონ და 1881 წ. არჩეულ[illegible] ურ კრებაზე წარმოადგინონ[illegible] ჩვენთაგანი მარტო ბ. დიმიტ[illegible] ზე შეეთხვდა [illegible]

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ჯერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენაზედ.

1 აგვისტოდამ წლის დამლევამდინ

**დროება**

ღირს ოთხი მანეთი

**ივერია**

ორი მანეთი

„დროება“ და „ივერია“ ერთად

შვიდი მანეთი

## ტელეგრამმები

—

(ხალხთა შორის სააგენტოსი)

პეტერბურგი, 7 აგვისტოს, (ოფიციალურად) ლორის-მელიქოვი შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა და დენერალი ჩერევინი იმის ამხანაგად. ჟანდარმების კორპუსის გამგეობა შინაგან საქმეთა მინისტრს აქვს მინდობილი.

სტამბოლი, 7 აგვისტოს. პოლიციის მინისტრი ჰაფიზ-ფაშა ფანატიკურად მოქმედების გამო, სამსახურიდამ დაითხოვეს, მის მაგიერ დაინიშნა ჰადი-ჰაფიზ-ფაშა.

## ბუჩქნარების დაცვა

ტფილისი, 8 აგვისტოს.

მას აქეთ, რაც რკინის გზამ ქართლ-იმერეთი უღელტეხილზედ გადასჭრა, მრავალი დიდ-როვანი ხე მოუღდენია რკინის გზის მატარებელის გაუმაძღარს მუცელს. გზის გაყოლება რაც კი ტყეები იყო სულ ერთიანათ გაანადგურა და ახლა ეს ტყეები რომ აღარა ჰყოფნიან, გაავრცელა თავისი საბრძანებელი და ხარჯს კარგა მოშორებით მდებარე ტყეებსაცა სთხოვს.

თვითონ რკინის გზის მმართველობა არა ზრუნავს ამაზედ, რომ ეს ქვეყნისათვის საზარალო ტყეების ამოგდება მოსპოს და ქვა-ნახშირი იხმაროს; ან კი რა ენაღვლება რკინის გზის მმართველობას ჩვენის ქვეყნის ამოგდებისა; ამ მმართველობის წევრნი დღეს აქ არიან, ხვალ სამი ათასის ვერსის სიშორეზედ ამოჰყოფენ თავს და ყველგან იშოვიან ჯიბის მაგრად გასატენს საქმეს:

ამ გვარს მძიმე საგანს უმთავრესად ყურადღება მთავრობამ უნდა მიაქციოს, თუ თავის ვალის შესრულების თავიდამ აცილება არ უნდა.

ტყეების დაცვა მართლა ისეთი მძიმე საქმეა, რომ სხვა ქვეყნებში ბუჩქნარებსაც კი უფრთხილდებიან, არამც თუ ტყეებს გაუფთხილდენ.

„მოსკოვის უწყებათა“ სიტყვით სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში უნდათ იმისთანა ზომა მიიღონ, რომ მამულის პატრონებს სამხრეთ-რუსეთში, სადაც გვალვა ხშირია, აუკრძალონ მოჭრა ბუჩქნარიან ფერდობებისა, უნდათ რომ იმათ გარეშემო სამნები ჩაუსხან და გაატყეონ, თორემ ამ ფერდობებს მხვნელ-მთესველები ძალიან ეტანებიან, რადგან მიწა კარგი არის და იმას კი არა ფიქრობენ, რომ როცა ბუჩქნარი გაწყდება, წყალი მიწას ჩამორეცხს და ორს სამს წელიწადზედ მწვანით მოსილის მთების მაგივრად, გატიტვლებული კლდეებიღა შერჩებათ ხელში.

ამას გარდა ამ შემომიჯნულს ბუჩქნარში საქონლის ტარებაც აღკრძალული იქნება, რადგან საქონელი ძალიან ახდენს ახალ მოზარდს ხეს.

რუსეთში ბუჩქნარებზედაც კი ზრუნვენ და ჩვენ თვალ-აუწვდომელ მაღალ ტყეებსაც კი არა ვზოგავთ ზოგს იქვე დასაწვავათ, ზოგს დასალპობათ და თუ ასე მოვიქეცით ათორმეტს წელიწადს, მაშინ გვგონია, ბუჩქნარების დასაცავი კანონის გამოცემა დაგვჭირდება.

მაგრამ გვიანღა იქნება!

მ.

## ახალი ამბები

—

გორის მაზრიდამ სამდურავს გვწერენ იქაურს პირველ განყოფილების მომრიგებელ შუამავალზე თავ. ზ. ე—თავზე; ეს ბატონი ისე ასამართლებს საქმეს, როგორც უწინ მდივანბეგები ასამართლებდენო: თუ ვინმეს ცუდი თვალით შეხედა იმ წამშივე ცემა-ტყეპას დაუწყებსო. მაგალითად ოთხს აგვისტოს ერთი მომჩივანთაგანი ბარსია იჩქითი მწარედ სცემა და სისხლი აღვრევინაო.

კორრესპონდენტის სიტყვით, თუმცა იჩქითმა იჩივლა, მაგრამ სად შეუძლია . . . . . . . . . გლეხს თავის ღირსება დაიცვას გაკადნიერებულ მოხელე თავადიშვილისაგან!

***

იქიდამვე გვატყობინებენ, რომ 25 ივლისს სოფ. ქორდში რამდენიმე ოსი შუაღამისას თავს დასხმიან ერთ გლეხს, რომელიც უცემიათ, და ერთად ერთი ძროხაც წაურთმევიათ. კორრესპონდენტი ამბობს, მეზობლებმა გაიგესო მაგრამ ვერ მიეშველენო, იმიტომ რომ ჰფიქრობდენ „ოსები მაინც გაუძვრებათ სამართალსო და მერე ჩვენ მოვდგებიანო“.

***

## ფელტონი

—

### მოხევეები და იმათი ცხოვრება

### VII

(გაგრძელება *)

როგორც საზოგადოთ მომეტებული ნაწილი მთის ხალხისა, მოხევეებიც გულ-კეთილი ხალხი არიან. სულ მუდამ ბუნებასთან ბრძოლამ ისინი შეაჩვია მოთმინებას და დაუღგრომელს მუშაობას. თუმცა მოხევე სულ მუდამ ბუნებასთან ბრძოლაშია და ყოველს ნაბიჯზედ ფათერაკი სდევს იმას, მაგრამ, მაინც ისეთის თავ-განწირვით უყვარს თავისი თითო მუჭა მიწა, რომ სულ მუდამ წვალებაში ყოფნას რჩეულობენ, სანამ იმის თავის დანებებას და სხვაგან გადასვლას. ყოველ მთას, ყოველ გორას, ყოველ ქვას, მდინარეს, ადგილს იმისათვის რაღაც მღვთიური მნიშვნელობა აქვს და მთაში მწუხარებაში და ჯაფაში ყოფნას ის არ გასცვლის არც ერთ გვარს სიამოვნებაზედ.

მოხევეების პატიოსნობასა და გულკეთილობას დაუმატოთ ჭკუა და ჩქარი მოაზრება გაჭირებაში. იშვიათი არის მოხევეებისაგან ვინმემ ქურდობა დაიწყოს, რადგანაც ერთმანერთის შველა და შემწეობა თავიანთ მოვალეობათ მიაჩნიათ და კაცი, ვინც ქურდობას გამოუდგება, თვალის დასანახავად ეჯავრებათ. მოხევე გალარიბდება და ეჭირება ფული; ის ყოველთვის იშოვის თავის მეზობლებში, თუმცა შედარებით, დიდის სარგებლით, 20 პროცენტით წელიწადში, მაგრამ სამაგიეროთ ის აცდენილია, ნატარიუსებს, ვექსილებს, ბარათებს და სხვა-და-სხვა ხარჯებს, რომელიც ფულის სესხს თან მოსდევს სხვა ადგილებში. მოხევე უბარათოთ აძლევს თავის მეზობელს ფულს იალუხათ და ძნელად მოხდება, რომ ამ გვარათ გასესხებული ფული სასუდოთ გაუხდესთ. მოვალე აძლევს სარგებელს და შეძლებისამებრ ცდილობს გადაუხადოს თავნიც; გამსესხებელიც არ აწუხებს იმას და თუ გაუჭირდა, ისევ თითონ სხვაგან სესხს რჩეულობს, ვინემ შეუძლებელი მოვალის შეწუხებას. ამას გარდა მოხევეები შველიან ერთმანეთს: საქონლით, მუშით, ურმით; ვისაც დაჭარბებული მამული აქვს, არც იმას დაუჭერენ და მისცემენ უმამულოს სახნავათ უფასოთ რამდენიმე წელიწადს.

ნამდვილს მოხევეს არ ესმის სიმდიდრეში, გაუმაძღრობა და ყოველთვისინ კმაყოფილდება იმით, რაც საკმარისია იმათთვის საცხოვრებლად. მეტის-მეტად ძვირად გაყიდვა რისიმე, ნამეტნავად გაჭირებულს კაცზედ, მოხევეს დიდს ცოდვათ და უპატიოსნებათ მიაჩნია.

მარდი, გულადი და მოაზრებული ყოველ გაჭირებიდამ გამოვა და თითქმის, სხვისთვის აუცილებელს უბედურებას ყოველთვის აიცდენს. ათას რიგმა მოულოდნელმა შემთხვევეებმა დააჩვია ის ჩქარს მოაზრებას გაჭირებაში და იმ საშუალების სწრაფად დანახვას, რომელიც სხვას, იმ ადგილებს შეუჩვევარს კაცს, ვერც კი წარმოუდგენია. რამდენათაც თავის მთაში გამოიჩენენ ჭკუა-მახვილობას და სწრაფს მოაზრებას, იმდენად ულონონი არიან ვაჭრებისა და მოხელეების ხელში, სადაც ყოველი მოაზრება ამაოდ რჩება.

უცხო კაცთან შეხვედრაში მოხევე თავ-დაჭერით იქცევა; შეუმჩნეველად შინჯამს ახალ პირს და თუმცა გგონიათ თქვენ, რომ იმას არც კი გამოუხედავს თქვენკენ, მაგრამ უბრალო ქამრის ღილიც არ დაგრჩენიათ მოხევის გაუშინჯავი და შეუმჩნეველი. რაც უნდა ნახოს, რაც უნდა გაუკვირდეს, თავის დღეში არ შეიმჩნევს ამ გაკვირვებას და ლაპარაკში ისე გეგცევა, თითქო ეს საკვირველი სანახავი იმას ათასჯერ უნახავს. მართალია, უცხო კაცთან იმას ბევრი ლაპარაკი არ უყვარს, მაგრამ ორი-სამი სიტყვის წამოძახებაში, მაშინვე დაინახავთ მხიარულს, ჭკუა-მახვილს და ოხუნჯობის მოყვარე მოხევის ხასიათს.

საზოგადოთ მოხევეს უყვარს დაცინვა, მხოლოდ ამ დაცინვაში ნიშნის მოგება კი არ ამოიხატება; ის იცინის, იმიტომ რომ სასაცილოს ხედავს, თუმცა კი მზათ არის იმავე დროს სამასხარაო მდგომარეობაში მყოფს უშველოს და გამოიყვანოს გაჭირებიდგან. თუ ვინმე, მოხევის აზრით, უწესობა, ან უსამართლობა მოახდინა, მაშინ იმაზედ გამოსთქვამენ ლექსს, რომელშიაც მასხრათ იგდებენ მომქმედს და ეს ლექსები სამუდამოთ არ არიან მოკლებულნი იუმორს. ქვეყანაზედ მოხევეს ისე არა გადასახადის არ ეშინია, როგორც სალექსედ გახდომისა და უკეთუ თქვენ გინდათ მოხევე დაიყაბულოთ ისეთს საქმეში, რომელიც იმის შეხედულობით, ან სვინიდისის წინაამდეგია, ან ხევის ჩვეულებისა, პირველსავე სიტყვაზედ ის გეტყვის:

*) იხილე № 162 „დროებისა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ია, არც კაცის-კვლა, არც ცარცვა ო

გოლოსში [illegible]-დამ მიღებული კორრესპონდენცია, რომლიდამაც შემდეგი ალაგი ამოგვაქვს:

„ერთი იმ საქმეთაგანი, რომელთაც მალე გადაწყვეტა სასურველია მმართებლობის და ყველა ადგილობრივ მცხოვრებელთ ინტერესისათვის, უსათუოდ არის, საკუთრებისა და თავისუფლად გაცემის უფლების აღიარება, ბათომის გარეშე მდებარე მიწისა. ამ საქმის გადაწყვეტას განსაკუთრებით ახლა ექნება დიდი მნიშვნელობა, რადგანაც ადგილობრივი მცხოვრებნი აწმყო წესების კმაყოფილნი არ არიან და სულ ყველანი გადასახლებას აპირებენ ოსმალეთის სამფლობელოში.

„ამ დღეებში, ადგილობრივ ბეგების წინამძღომლობით აჭარლების დეპუტაცია წარუდგა სამხედრო ღუბერნატორის თანაშემწეს თ. ერისთავს, და შუამდგომლობა სთხოვა მას დიდს მთავართან, რომ მიეცესთ მათ თავიანთ მიწების გაყიდვის უფლება. ამასთანავე დეპუტაციამ გამოაცხადა, რომ თუ ვინიცობაა მისი თხოვნა არ შეიწყნარეს, მაშინ იგი ვერ იკისრებს მშვიდობიანობის დაცვას ვერც ბათომში და ვერც იმის არეთ-მარეში. არ ვიცი რითი დააკმაყოფილა თ. ერისთავმა ეს დეპურაცია, მაგრამ, რაც უნდა იყოს არ შეიძლება კაცმა მუქარას ავათ არ შეხედოს ამ სიტყვებს, მით უფრო, რომ ეხლა ბათომში თითქმის უჯაროდ არის, რადგანაც ორი ბატალიონი და ერთი ბატარეია ახალ-ქალაქში წავიდა.“

ამას მიქვია, აი, ბუზიდამ სპილოს გაზდა! არავითარ უკმაყოფილობას „აწმყო წესებზე“, არა რაიმე დეპუტაციას და „მუქარა“-ს ადგილი არ ექნებოდა თუ იმათ ვისიც „ჯერ იყო“ შეესრულებინათ ის დაპირება, რომელიც შარშან უთხრა დ. მთავარმა აჭარლების და ქობულეთლების დეპუტაციას, ან დაბათომის ღენ.-ღუბ. ღენ. კომაროვის განცხადება, რომელშიაც იგი ჰპირდებოდა ბათომის ოლქის მცხოვრებლებს მათი ღირსების, პატიოსნების, სარწმუნოების საკუთრების და სხ. დაცვას...

* * *

ბათომიდამვე იგივე კორრესპონდენტი სწერს გოლოსსავე, რომ მა დღეებში აქ მოელიან ინგლისში გაკეთებულს ორს ახალს გემსო, რომელნიც ეკუთვნიან რუსეთის „ნაოსნობის და ვაჭრობის“ ამხანაგობას და 15 ამ თვიდამ დაიწყებენ ოდესსის და ყირიმ კავკასიის ნავსადგური შორის სიარულსო.

* * *

ჩვენ მივიღეთ გორის სას. სასწ. ზედამხედველის ბ. დავით დათოშვილისაგან შემდეგი წიგნები მღ. ივ. ლომოურისაგან დაფუძნებულის ბიბლიოთეკისადმი გადასაცემლად თითო ეგზემპლიარი:

მილიციონერის სიმღერა, ალმანახი, შედგენილი გ. თუმანიშვილისაგან 1878 წ., ვარდ-ბულბულიანი, არაკა, ცოლი ვიტირო თუ ფული, „დროების“ კალენდარი 1875 წ., „ბუნების კარი“ გამოცემა 1873 წ., მნათობი— 1872 წ. თებერვალს, საახალწლო ხუმრობა, იგავ-არაკნი, ლექსი თ. ზ. ჩოლაყაშვილზე, გამოცემა მეორე, გრიბული, რძალი, მული და მაშენიკები, მშვენიერი ელენე, ვირგინია.

* * *

სურამიდამ მივიღეთ შემდეგი ანგარიში 22 მკათათვეს დაბა სურამში ყოფილის ქართული წარმოდგენისა სურამის შკოლის სასარგებლოთ:

შემოვიდა სულ 120 მანეთი.

დაიხარჯა: სახლის პატრონს სცენის გამართვისთვის და ზალის ქირა 23 მან.

ანტრაქტებში მეზურნეებს, ნავთი, სამთელი, სცენის მოწყობილობა, დურგლის ხელ-ფასი, კაპელდინერები, ბილეთები, აფიშები, პარიკები, გრიმიროვკა, და სხვა წვრიმალი ხარჯი 47 მან., მთელი ხარჯი 70 მან., დარჩა ნაღდი ფული 50 მან.

გამგებელი წარმოდგენისა
სონა ციციშვილი.

## „დროების“ კორრესპონდენცია

შორაპანი, 1 აგვ. ამ ცოტა ხანში მიემატა ამ ჩვენ კურთხეულ მაზრაში ერთი მოსამსახურე პირი გვარათ მამალაძე, რომელსაც სოფელში უძახიან „აგენტს“ ამ ცოტა ხანში მართებლობამ მოახდინა განკარგულება და თითო მაზრაში სახელმწიფო მიწების და გლეხების ინტერესის დამცველათ დანიშნა აგენტები. დღემდინ ყოლიფერ საქმეს გლეხების მამულზე ადგილობრივი მაზრის უფროსები განაგებდნენ. ყოველ ნაირ დავას სასამართლოებში გლეხების მამულებზე და გლეხებისაგან დაწყებულს სხვა პირების მამულებზე საჩივარს ადგილობით მაზრის უფროსი იცავდნენ სასამართლოებში. ეხლა კი ეს აგენტები განაგებენ. მართებლობის მიზანი ამ შემთხვევაში ძლიერ კარგი და მოსაწონია. სახაზინო გლეხებს ეყოლებათ საკუთარი პირი, რომელიც მათ მამულზე უფრო კარგად იზრუნებს. ამ აგენტს მართებლობა დიდ ჯამაგირს აძლევს. გუბერნატორისაგან მოუვიდათ მაზრის უფროსებს ბრძანება, რომ ამ აგენტებისათვის ჩაებარებიათ სახაზინო გლეხები თავისი მამულებით როგორც არიან აღწერილნი ოჯახობით და მიწა-წყლით კამერალიის აღწერის დროს. შორაპნის მაზრაში სახელმწიფო მიწა-წყლების ჩასაბარებლად აგენტთან დაინიშნა

---

„ვერა, ვერა, შენაი ჭირაიმე! თემში სალექსოდ გამხდიან!“

საზოგადოთ მთის ხალხს და იმათ შორის მოხევეებსაც, სიზარმაცეში ამტყუვნებენ, მაგრამ მე მგონია, ის ბატონები შემცდარნი იყვნენ, რადგანაც მოხევის ხელი დილიდგან საღამომდინ არ დადგება და თუ სხვა საქმე აღარა ექმნება-რა, ბანდულებს *) მაინც დაუწყებს ბანდვას.

თითონ უქმს დღესაც მოხევე როდესაც ერობაში **) გამოვა,გამოიტანს საქალამნე ხარის ტყავს და იქვე მყოფს სალინჭელაზედ***) დაუწყებს ზელას; რადგანაც ეს მუშაობა მეტათ ძნელი არის ერთი კაცისათვის, ამის გამო კედას****) აწევ-დაწევისთვის, რიგრიგით შეელიან და დაუზარებლივ ეცვლებიან ერთმანერთს.

მოხევეს ისე ცოტა დღეები აქვს სამუშაოდ, ისე ცოტა ხანს აძლევს იქაური ბუნება, ჰაერი, რომ ნებით თუ ძალით, უნდა სწრაფათ ისარგებლოს კარგის დღეებით და დღევანდელს საქმეს ვერაოდეს ვერ გადასდებს სხვალიოთ. ესევე მიზეზი უნდა იყოს, რომ ქალი კაცთან ერთად მუშაობს და ნამდვილ ამხანაგობას უწევს. მოხუცნი, საზოგადოთ დიდი პატივცემულნი არიან უმცროსებისაგან და ყველგან ეს უკანასკნელები ისე ემსახურებიან უფროსებს, როგორც უკანასკნელი მოსამსახურე.

მოხევეების ცხოვრება ძველადგანვე მუდამ მოუსვენარი ბრძოლა არის, როგორც იმრგვლივ მყოფ სხვა ტომების ხალხთან, ისე ამ ადგილებზე გამვლელ-გამომვლელ ძრიელ ხალხთან და ამისათვის ვაჟკაცობა და გამოცდილება ამ მხრითაც არ აკლიათ იმათ. საკვირველი ეს არის, რომ თუმცა გარემემო სულ ისეთი ხალხი ახვევიათ, რომლებიც თავის სიცოცხლეს ტაციობაში და ქურდობაში ატარებენ, იმათ არავითარი გავლენა არა ჰქონიათ მოხევეებზედ ვერ მიუხედნიათ; ამათ როგორც ტაციაობა, უსამართლობა და ქურდობა, აგრეთვე თითოს ქურდები თვალის დასანახავათ ეჯავრებათ. ძვირის-კვირობამდი მეცხვარის ბარგი ისე უპატრონოთ სადმე მთაში ჰყრიათ, ზედ ათასჯერ გაივლ-გამოივლიან მწყემსები და სხვა ხალხი, მაგრამ ხელს არავინ ახლებს. თუ ისეთი მარტო მწყემსი იქნება ვინმე, რომელსაც შორს ყინულებზედ გაუყვანიათ თავის ბატკნები და ჯალაბობას არ სცოდნია—საით მხარეს არის და ამისათვის პური ველარ მიუწოდებია, ასეთი დამშეული წყემსი, თუ შეხვდა სხვა მეცხვარის ბინას, არც ცოდვათ და არც დასაძრახათ არ ჩეეთვლება, რომ იმან გაშინჯოს მეორე, იმისათვის სრულებით უცხო მეცხვარის ბინა და თუ საზრდო რამე იპოვნა, ამოიღებს და სჭამს.

ერთის სიტყვით, მოხევეების ცხოვრებაში, ყოველი ნაბიჯი დაგანახვებს ერთობას და ძმურს ერთმანეთის შემწეობას.

მოხევე ამაყია: თავის დღეში ნებას არ მოგცემსთ, რომ დაჩაგროთ, მაგრამ აწმყო მდგომარეობამ მათრახის ძალით, დააჩვია ბევრი რამ ისეთი მოითმინოს და აღძრული წყენა გულშივე შეინახოს, რომელსაც სხვა დროს არ მოგითმენდა. თუ ის უსამართლობას ხედავს თავისთან ქცევაში, მაინც უკანასკნელ საშუალობამდინ და სულის ამოხდამდინ ცდილობს რითიც იქნება გამოაცხადოს თავისი უკმაყოფილება, თუმცა იცის, რომ წინააღმდეგობა მომეტებულს სატანჯველს მიაყენებს და სამართალს ვერ იპოვის.

წინადგანვე ყოველი საქმე თემის ყრილობით გადაწყდებოდა ხოლმე და მოხევისათვის შეუძლებელი იყო, რომ არ დამორჩილებოდა ამ გვარს ხალხის გადაწყვეტილებას.

უფრო დაახლოვებულმა წარსულმა და აწ-მყო მდგომარეობამ დააჩვია მოხევე ლაპარაკში სიფრთხილეს, თორემ ბუნებით ის პირ-და-პირი, აშკარა მოლაპარაკეა. ადვილათ არ ენდობა მებატონეს და ნამეტნავად მოსამართლე, სამსახურის კაცს; მაგრამ როდესაც თავის თავს განთავისუფლებულსა ხედავს მოხსენებულის პირებისაგან, მაშინ მართლა სასიამოვნო მესაუბრე ხდება, თავის მიუღალავის ოხუჯობით და გულ-წრფელის მხიარულებით.

რაც—კი შეეხება გადახდას, მოხევე არ არის შურის მძიებელი ისე, როგორც ჩვენ გვესმის ეს სიტყვა. იმის გამოკიდება და გადამტერება არ არის დაფუძნებული ავგულობაზედ; არა,—ის, როგორც ყველა ხალხი, ვისაც თავ-მოყვარეობა და ჭკუა აქვსთ, ჩქარა არ ივიწყებს იმ უსამართლობას, რომელიც თქვენ მიგიყენებიათ და შემთხვევას ეძებს გადაგიხადოსთ როდისმე. არც იმას ელის, რომ მოგასწროთ სადმე მოუმზადებელს, დასუსტებულს და ისე გადაგიხადოსთ; მხოლოთ იმას ელის, რომ თქვენ შესწორდეთ, ორივეს ერთ გვარი ძალა შეგექნას, მაშინ მოგთხოვსთ პასუხს,

მოხევე თავის-დღეში არ ჩაგისაფრდებათ, და იქიდგან არ გესვრისთ თოფს; ჩუმათ არ გაგაფუჭებათ, არამედ წინათვე შეგატყობინებსთ, დროს მოგცემსთ, რომ მოემზადნეთ და მერმე იმოქმედებს. იმისი ძრიელი, შთამბეჭდავი ხასიათი არაფერს არ ივიწყებს, მაგრამ, თუ თქვენ ულონო, დასუსტებულსა გნახავსთ, თითონვე შეგიბრალებსთ და ხელს არ გახლებს...

საზოგადოთ ძმები ძნელათ ეყრებიან ერთმანერთს და თუ დედ-მამა ცოცხალი ჰყავსთ, მაშინ ხომ სულ შეუძლებელია იმათი გაყრა. ისინი სცხოვრებენ ბევრჯელ ოცს სულ ჯალაბამდინ ერთად და კაცებზედ

*) ბანდული არის ერთ-გვარი ქალამანი, რომელსაც მირები დაწნული აქვს. ამ ფეხ-საცმელით დადიან მთაში, რადგანაც ისე ეკიდება მთას, რომ კაცს ფეხი აღარ უცურდება.

**) ერობა—სოფელში პატარა მოედანი, სადაც უქმს დღეს სოფელი შეიკრება ხოლმე.

***) სალინჭელი—ისეთი ალაგი რომელზედაც საქალამნე ტყავებსა ზელენ.

****) კედა—მყარი, მკლავის სიმსხო ჯოხი, რომელიც ადის და ჩადის ტყავის ზელაში.

შორაპნის მაზრის უმფროსის უმცროსი თანა-შემწე ბ. ერისთავი. წავიდა ეს ორი პირი სოფლებში. ამათ მოინდომეს ყველა მცხოვრებლების მამულის აღწერა და შეაწუხეს სასულიერო პირებიც. მაგრამ მალე მიხვდნენ თავის შეცდომას და დაანებეს თავი, დაარდა ხმა სოფელში, რომ ვისაც თორმეტ-ქცევაზე მეტი მამულები აღმოუჩნდება იმას უნდა ჩამოერთვას, და სახელმწიფოთ იჯარით უნდა გაიცესო. რამდენათ შეაწუხებდა ეს ხმები ზოგიერთ გლეხებს თქვენ იანგარიშეთ . . . ისინი მისულან თურმე სოფელ ჰაცხში, სადაც შეალამის დროს წამომხლარი ეს ჩვენი აგენტი, დაუწყია შერეკილი ლაპარაკი...

ეხლა ის აგენტი სხვა მაზრაშია. აქ მამასახლისებს დაუბარა, რომ გლეხების მამულები აეწერათდა წარედგინათ მისთვის. მამასახლისები შეუდგნენ გლეხების მამულების აღწერას; და თითქმის მოათავეს კიდეც. მაგრამ არ შეიტყობთ რა ჩაიდინეს ზოგიერთმა მამასახლისებმა? ბევრმა მამასახლისებმა სვინიდისიანათ აღწერეს გლეხების მამულები და წარადგინეს, მაგრამ ზოგიერთმა დიდი უსინდისობა ჩაიდინეს. თითეულ გლეხებს ახდევინებდენ 25—80 კაპეიკამდე და ზოგს მანეთიც გამოართვეს. რისთვის, ვისი ბრძანებით? „მაზრის უმფროსმა გვიბძანა ამ ფულების გადახდევინებაო ამბობენ იგინი და ნახევარი მას უნდა წარუდგინოთო"... როგორც არ დაგკლა მაზრის უმფროსს მათთვის არაფერი არ იბრძანებიოს და არც ერთი კაპეიკი მათ იმას არ წარედგინოსთ. მწერალს ქირაობენ 200 მ., მათ ხარჯზეა, რამდენს ისეც ართმევს საქმის განჩინების დროს და ერთი უბრალო ცნობის შეკრებისათვის კიდევ მრთელს საზოგადოებას 100 მ., ახდევინებ რომ იტყვიან „გლეხი კაცი საჭმელიაო სწორეთ ეს არის...

ჩვენ იმედი გვაქვს მაზრის უფროსი ამაში თავს გაიმართლებს და ზოგიერთი მამასახლისებისაგან ცილისწამებას მოიშორებს. იმედი გვაქვს ამ გარდახდევინებულ ფულს მამასახლისებისაგან ისევ უკან დაუბრუნებს საზოგადოებას. იმედი გვაქვს იგი განუმარტებს გლეხებს, რომ გუბერნატორს არაფერი არ უბრძანებია ამ ფულების გადახდევინებაზე. აგენტს და ჩინოვნიკს აქვს ბრძანება: ერთმა მეორეს სახლობით აღწერილობისამებრ ჩააბაროს სახაზინო გლეხები, ხრომელნიც უნდა დაიბარონ და ჰკითხონ სათვითაოთ, თუ მაინც და მაინც მიუცილებელია ადგილების შეტყობა.

. . . . . . , - . . . . .
. . . . . . .

დ. ღ—ძე.

## წერილი რედაქტორთან

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ, თქვენს პატივცემულს „დროებაში" ალაგი დაუთმოთ ამ წერილს.

როგორც „დროებაში" აგრეთვე სხვა ადგილობრივ რუსულსა და სომხურს გაზეთებშიაც ბევრჯერ ყოფილა ლაპარაკი შესახებ არხეოლოგიური კრებისა, რომელიც დანიშნულია 1881 წ. ქ. თბილისში, და რომლისთვისაც კავკასიის ნამესტნიკმაც გაიმეტა და შესწირა რამდენიმე ასი თუმანი.

კრება დანიშნულია მოსკოვის არხეოლოგიურის საზოგადოებისაგან, რომლისთვისაც ამავე კომიტეტმა შარშან მოსკოვში გამოსცა ვრცელი პროგრამმა.

შარშან, როგორც მოგეხსენებათ, ამ მომავალ კრების გამო აქ ჩამოვიდა მოსკოვის არხეოლოგიური კომიტეტის თავსმჯდომარე გრაფ უაროვი, რომელმაც აილო, დაილო და შემდეგ შეუკვეთა კავკასიის არხეოლოგ. კომ. წევრთ, თუ როგორ უნდა მომზადებულიყვნენ და ამის შემდეგ უკანასკნელნი შეუდგნენ კიდეც სამზადისსა.

ამ საგანზედ „დროებაშიაც" იყო შენიშვნა, რომ გრაფ უაროვი გთხოვს გამოვაცხადოთო, რომ თუ ვისმეს რამ ძველი ნივთები ან წიგნები აქვთ შეინახონ და 1881 წ. არხეოლოგიურ კრებაზე წარმოადგინონ.

ჩვენთაგანი მარტო ბ. დიმიტრი ბაქრაძე შეუდგა ამ კრებისათვის საქმების სამზადისს და იკისრა მთელი ჩვენი ერის და ქვეყნის საჭირო საგნებზე ლაპარაკი. ის ამზადებს გამოკვლევას ჩვენი ტომის დასაწყისზედ, რომელიც დღევანდლამდინაც გამოუკვლეველია; ის იკვლევს ხუცური ასოების დროს, თუ როდის შემოიღეს ჩვენში და ამაზე კარგა ხანია რაც შრომობს კიდეცა და მეშვიდე საუკუნის აქეთ ვიდრე ჩვენამდე გამოკვლეული აქვს, თუ რომელს საუკუნეს რომელი ოროგრაფია ეკუთვნის, ის არჩევს ძველს დოკუმენტებს, მხედრული მწერლობის ძირს და ფესვებს ეძებს. ის იკვლევს თუ ძველათ საქართველოს უცხო ხალხებთან რა დამოკიდებულება ჰქონდა და სხვ..

ბ. ბაქრაძეს ჰსურს დაგვიმტკიცოს, თუ ქართველებს რა დრომდამ აქვსთ მიღებული ხუცური და მხედრული ასოები და საიდამ შემოვიდა ის, და ამისათვის საჭიროა ბევრი შრომა, დიდი ხნის სამეცნიერო გამოკვლევა და არა თუ ერთი კაცისა, არამედ რამდენიმესი ერთად. მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ ჩვენში ჯერ-ჯერობით ბაქრაძეს მეტი არავინ არის.

ბ. გიორგი წერეთელს, როგორც აღმოჩნდა იმის ლექციებიდამ, შეძლების და გვარად რიგიანად შეუსწავლია საქართველოს ისტორია და

---

უფროსობას და რიგს აძლევს მამა, ქალებზედ კი დედა. მაგრამ ამ უფროსობაში თქვენ ნუ გგონიათ, რომ ერთს ვისმე ჰქონდეს მინიჭებული სრული ძალა და იმის ქეიფზედ, იმის დესპოტიურს სურვილზედ უნდა იარონ ყველამ. ყოველ საქმეში უეჭველად და აუცილებლათ მთელი სახლობა შეიყრება, რჩევა აქვს და სანამ ასე რიგათ არ გადასწყვეტენ შინაურულათ, საერთო რჩევით, ძროხასაც-კი ვერ იყიდიან, არამც თუ სხვა რომელიმე საქმე დაიჭირონ. ამ რჩევაში ხმოვანებათ ითვლებიან ყველანი, ვინც-კი იმათ სახლობას ეკუთვნის; ასე წარმოიდგინეთ, რომ ახლათ მოყვანილს რძალსაც-კი ჰკითხავენ რჩევას, თუმცა ის რამდენიმე წელიწადს, როგორც მამამთილს, ისე უფროსს მაზლებს უმალავს ხმას და თუ არ რომლისამე ქალის შემწეობით, პირ-და-პირ, ხმა-მაღლივ, ვერ წარმოსთქვამს თავის აზრს.

მთაში სახლები საზოგადოთ სუყველგან ერთ-გვარათ არის ნაკეთები: წინ დერეფანი, მემრე ზენა ქვე სახლი; ქვითა და მიწით ნაგები. ქვეით სახლში უდგასთ საქონელი და ზემოთში-კი თითონა დგანან და ეძახიან „სამყოფო" სახლს. სახლი საზოგადოთ არის კარგათ მოზდილი, ასე რომ ზოგი იმათგანი 36 არშინიანიც-კი არის ხოლმე. ეს სახლი სიგძეზედ იყოფა ორათ; პირველს შესვლაშივე, ერთს საჟენს თუ საჟენ ნახევარს მისდევს თხელი ფიცრული, მემრე დაგხვდებათ კარი და კარს ქვეიდგან ხაროებით, პურის ჩასაყრელი ბეღლები, თითქმის ბოლომდინ, სადაც კიდევ სუნაში *) შესასვლელი კარები არის დაგდებული. ხაროებიდგან კედლამდინ სენის ფიცრული მისდევს.

*) სუნა—სარდაფი, საჯუჭნათ.

სამყოფო სახლის მორთულობას შეადგენს: კერა შუა ადგილას, რომელზედაც ჭერიდგან ჩამოშვებულია საკიდელი; ამ კერის სამ მხარეს სამი გძელი სკამი, რამდენიმე მარტოშკამა *); ფიცრულზედ ჰკიდია თოფები, დამბაჩები, ხმლები, წრიაპები **), ფანდური და შამფურები. ბანები ყველას მიწური აქვს და არა იშვიათად, მეორე სახლი ისე თავსა აქვს წამოდგომილი პირველს, რომ ამ პირველის ბანი კალოთა აქვსთ გამხდარი მეორე სახლობას. სამწუხაროთ, ეს სახლები, პატარა ფანჯრების გამო, რომლებიც ბოლის გასასვლელს ალაგსაც ასრულებენ, ძალიან ცოტა სინათლეს უშვებენ სახლში და ბოლიც ვერ გადის კარგათ. ამის მიზეზით, მოხევეების სახლი მუდამ ბნელია და გავსებული კომლით, რომელიც სწყინს თვალებს.

თითონ სახლის მდგომარეობა იმ გვარათ არის, რომ ზამთარში საშინელათა ცივა და როცა ცეცხლს დაანთებთ, მარტო გულს, ხელებს და მუხლებს ითბობთ, ზურგში კი უწყალოთა გბერამს გაყინული ცივი ქარი.

ტანთ-საცმელი საზოგადოთ ჩერქეზული არის; ჩოხა, ახალუხი, ქუდი, ტყავი და ფეხებზედ ან ჩაფხატი ***), ან ზანდული, რომელიც კოჭებთან ალახებით ****) არის შეკრული.

*) მარტო-შკამა—კრესლო, რომელსაც უფროს კაცს დაუდგამენ ხოლმე სუფრის თავში.

**) წრიაპი—რკინის ნალსავით გაკეთებული. ფეხზე გაიკეთებენ ხოლმე მთაში ყინულის დროს, რომ ფეხი აღარ დაუცდესთ.

***) ჩაფხატი ერბოში მოზელილი ტყავისა ზანდულივით გამოჭრილი, მირები გაკერილი აქვს და წყალი არ შესდის.

****) ალახი ღვედის წვრილი თასმა.

ქალების ჩაცმა არის შემდეგი: გძელი ფეხებამდინ ფერანგი, მოკლე გულ-ამოგდებული ახალუხი გძელის გაწყობილის სახლებით; გძელი გულამოღებულივე ახალუხი მოკლე იდაყვებამდინ სახლებით; წელზედ ვერცხლის ჰტყელი ქამარი. თმა დაწნული და წინ პატარაკავები; თავზედ შავი ხელცახოცი წაკრულიდა ზეიდგან ტულის ლეჩაქი. ყელზედ უმრავლესი მძივები და თითებზედ სხვა-და-სხვა ფერი ქვების ბეჭდები. ფეხთ-საცმელათ წუღები. ზოგი ტულის მაგივრად მერდინსა ხმარობს. ზამთარში ხმარობენ კიდევ თავ-შალს და ზოგიც ნამუცლარი ბატკნის ტყავებისაგან გაკეთებულს ქათიბს.

საზოგადოთ ქალის ჩაცმა არ უშლის არც სიარულში და არც მუშაობაში. ყმაწვილების ჩაცმას უფრო სიკოხტავე და სიახლე ეტყობა, ვინემ მოხუცებულების ტარვალს (ტანისამოსს). საზოგადოთ, მოხევეების ქალები ტანთ-საცმელს ისე რიგათ არ მიზდევენ. მაგრამ აქ ქალებზედ ლაპარაკი გავათაოთ, რადგანაც საკუთრივ იმათზედ და იმათ მდგომარეობაზედ ხევში, კიდევ გვექნება ლაპარაკი.

საჭმელები მოხევეებს ძალიან უყვარსთ სხვა-და-სხვა გვარი და საზოგადოთ პირის გემო ძალიან იციან. ყველი, ერბო, რძე წლითი-წლამდინ უკლებელი აქვსთ, ახალი ხორციც იშვიათად არა აქვსთ ნამეტნავათ ზაფხულში, როდესაც ხატობეები მოდის. აპრილიდგან მოყოლებული მაისის ოცამდინ ხატობა მოდის და რომელი სოფლის ხატობაც-კი იქნება, იმათი მოვალეობა არის დაუხვდნენ და უმასპინძლონ მხვეწრათ, სტუმრათ, ანუ ისე დროს-გასატარებლათ მოსულს ხალხს.

ამ გვარს შემთხვევებში სტუმრათ მოსული ხალხი ერობაში შეიყრება, სოფლიდგან კომლზე თითო კაციც იქ ჩამოვა, და სტუმრებს თანასწორეთ გაიყოფენ და წაიყვანენ თავიანთ სახლში. თუ დაუგვიანდა ვისმე და სტუმარი ველარ იშოვნა, იმისათვის მოსვენება აღარ არის იმ დღეს. ზოგი სოფელს გარეთაც კი დაუხდება მომავალს სტუმარს და იქიდგანვე წამოიყვანს და თუ ესეთი მოქმედება სხვებმა შეუტყეს, უჩხუბოთ ვერ გადარჩება მეტის-მეტად გულ-უხვი მასპინძელი. საზოგადოთ საჭმელათა აქვს ცხვრის ხორცი, რომელსაც გავა-დუმებათ *) აკეთებენ საზამთროთ და ისე ინახვენ. კიდევ ხმარობენ: ხაჭაპურს, ქადას, ხლოკანს, ხინკლებს, ხაბიზგინებს. აკეთებენ ჩინებულს ლორის ლორებს და ძალიან გემრიელ მძეხვებს, რომელიც იქაურს კომლიან სახლებში, სადაც ნიავიც განუწყვეტლივ უბერავს, ჩინებულად ინახება.

ხატობეების გარეთა, ზამთარში კიდევ სამლვთოები იციან, რომელსაც ხან უბან-უბან მართავენ, ხან თითო გვარეულობა და ამისათვის ან ფული აქვსთ გასესხებული, ან საერთოთ ყანა აქვსთ დანიშნული და იმის შემოსავლიდანა ხარჯამენ....

ასე მიდის იმ ხალხის ცხოვრება, რომელსაც ჩვენის უცოდინელობით, ყურადღების ღირსათ არა ვხდით და რომელშანც ძმური სიყვარული მეტი იციან, ვინემ ჩვენ....

ა. მოხხუბარიძე.

(გაგრძელება)

*) გავა-დუმა—მთელი ცხვარი ლორად გამოყვანილი.

მას რომ ლონისძიებას მისცემდნენ, უეჭველია უარს არ იტყოდა კრებისათვის შრომაზე და ქართულს ქორონიკონს გამოიკვლევს. ბ. ჩუბინოვმა ეს ქორონიკონი შემოიტანა თავის ეტნოგრაფიულს წერილებში, რომლებიც 1878 წ. „Iვერიის“ ნომრებში დაიბეჭდა.

ამ ყოვლად შესანიშნავს საგანს არავინ მიაქცია ყურადღება და დღევანდლამდინაც დარჩა ისე. ამ მოკლე ხანში მღ. სამხარაძემ წარმოადგინა ორი სახარება პერგამენტზე ნაწერები. ერთი მათგანი მეშვიდე საუკუნეში დაწერილი აღმოჩნდა და ბ. ბაქრაძემ გარდასცა გენერალ ტრუბეცკოის ქართული პალიგრაფიის შესასწავლებლად. ამ სახარებამ ერთი საუკუნით წინ წასწია ხუცურის შემოღების დრო და ფესვები საქართველოში.

მადლობას უძღვნით მღ. სამხარაძეს ამ გვარის შრომისათვის და იმედი გვექნება, რომ ამ პატივცემულს მღვდელს სხვებიც მიჰბაძამენ და თუ რამე აღმოუჩნდებათ სახლში პერგამენტზე ნაწერი (ეტრატზე) წარმოადგენენ „დროება“ - „Iვერიის“ რედაქციაში საიდამაც შემდეგ მადლობით უკან დაუბრუნებენ.

ერთის სიტყვით ამ კრებაზე განსახილველი საგნები ბევრი გვაქვს, მაგრამ ჩვენ დაგვიკრეფია გულ-ხელი და შევყურებთ სხვების მეცადინეობას და სამზადისსა...

ზ. მთაწმინდელი.

ტფილისი, 6 აგვისტოს.

---

# განცხადებანი

—

## გაყიდვა

სხვა-და-სხვა ხარისხის ფქვილისა ოდესის საორთქლო წისქვილიდამ

## ძმათა ანატრათა

საწყობი იმყოფება:

1) ზოზოვის სახლში № 13, აგჭალის ქუჩაზე.

2) თამამშევის სახლში ბარონის ქუჩაზე.

(3—1)

---

ჯანჯულაზოვების დიდს მაღაზიაში საქონლის გასყიდვა კიდევ არ გათავებულა; მუდამ დღე არის ვაჭრობა დილის 9 საათიდამ ვიდრე 12-მდინ, თვითონ მაღაზიაში და იმის ეზოში, მუხრანსკის სახლებში.

(4—2)

---

კანტორა

„ცხენის გადასახადის მოკრეფისა“ ამ აგვისტოს 5-ს გადადის ახალ სახლში, ჩუღურეთში, სასწორის პირდაპირ მოედანზე, რომელზედაც სამი ქუჩა გამოდის: ნიკოლაევისა, არსენალისა და მესამე სამხედრო კლუბის მხრივ. სახლი № 3, აბრაამოვისა.

(3—3)

---

ციტრატ - მაგნეზია — წყურვილის მოსასპობელად

მოიკითხეთ ინგლისის მაღაზიაში.

(25—3)

---

## ინგლისის მაღაზია

*Maison de confianse*

შეადარეთ ჩვენი ჩაი—1 მ. 10 კ. მოსკოვის ჩაის—1 მ. 40 კ.

— — —1—20 — —1—60

— — —1—40 — —1—80

— — —1—60 — —2— „

— — —1—80 — —2—50

საუკეთესო—2— „ — —3— „

Iქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცისა და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოში, კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ ხდის.

(100—4)

---

შემთხვევით ისყიდება

## ადგილი

რომელზედაც ამ ჟამად ბაღია გაშენებული და რომელიც სამოსახლოთ გამოდგება. ეს ადგილი მდებარებს წყლის-პირა ქუჩაზედ, საზაფხულო პრუჟკოსთან, სიგრძით 17 საჟენი და სიგანით 50 საჟენი. შეიძლება ნაწილ-ნაწილად გაიყოს და ისე გაიყიდოს.

ფასისა და დაწვრილებით პირობების შესატყობლად მსურველს შეუძლიან მიმართოს ბ. ლიპინსკის, ელისავეტის ქუჩაზე, სახლის № 132.

(10—5)

---

პატენტიანი შროტკები

თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები სახურავებით 2 მანეთიდამ; სარძევე 30 კაპ.; რუმკები 5 კ.-დამ; ფილტრები (წყლის დასაწმენდი) 3 მ-დამ და ვედრები 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ ინიდუჟ; შოკოლადის კანფეტები 20 კ-დამ თითო ყუთი და სხვ. ინგლისურს მაღაზიაში.

(100—35)

---

სამზღვარ-გარეთის ყოველ-გვარ სავაჭრო სახლებთან პირადად ნაცნობობამ და პირდაპირის კავშირის ქონებამ, შეგვაძლებინა დაგვეწყო ქ. ქუთაისში ვაჭრობა

საკუთრივ

## სამზღვარ გარეთელ მოდის საქონლისა

*NOUVEAUTÉS PARISIÉNNES*’-ის

ფირმით

ვაცნობებთ რა ამას აქაურს პატივცემულს საზოგადოებას, ვიმედეულობთ, რომ ის არ დაგვტოვებს უყურადღებოთ და ღირს გვყოფს მოგვმართოს საჭიროებისა-მებრ.

ჩვენის საშუალობით შეიძლება სამზღვარ გარეთიდამ ყოველ-გვარ მაშინების, აევჯეულების, ფორტეპიანოთა და სხვ. ნივთების დაბარება.

ჩვენი მაღაზია არის ბიმბაზიის და სათავადო ქუჩების კუთხეში, ბულვარის პირდაპირ საკუთარს სახლში.

ივანე ნიკოლაძე შვილებითურთ.

---

მურაბა გემრიელი, კანფეტიბი ყველი, მაგნეზია შერბეთი წყურვილისათვის, ჭურჭლეული, ჩაინიკები, გრაფინები და სხვ. და სხვ. 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე ისყიდება ინგლისის მაღაზიაში.

კარბოლის პარაშოკი, კარბოლის წყალი და საპონი გადამდებ ავათმყოფობისათვის, მზის საათები დროების საჩვენებლად—ფასი 1 მან.—ინგლისის მაღაზიაში.

(40—28)

---

წამოსასხმელი! წამოსასხმელი! წამოსასხმელი!!

Iნგლისის მაღაზიაში 3 მანეთად 25 კაპეიკად!

წინდები და ჩულქები დუჟინი 2 მანეთიდამ!

(30—27)

---

## კანტორა

ოდესსის ვაჭრის

## Iაგ. ზალინოვის

(ადრესი: ოდესსა, ალექსანდროვის პროსპექტი, ფიშერის სახლი)

ჰყიდულობს და ჰყიდის, კომმისიით ყოველ გვარ საქონელსა.

აგენტურა სხვა-და-სხვა საქონლის გასასაღებლად.

წარმომადგენელია რუსის და სამზღვარ გარეთის ფაბრიკების, ქარხნების და სავაჭრო სახლებისა.

აქვე ნარდათ ჰყიდის და ჰყიდულობს, აგრეთვე კამისიით ფქვილს, საწვრიმალო და კოლონიალურ საქონელს.

(30—25)

---

ახლანდელ დიდს

## გამოფენის

დროს,

ოლეოგრაფიული სურათები იყიდება 20% დაკლებით, მაკ-ინტოშები (მოსახურავები) 6 მანეთიდამ 20-მდე შრთქები მოსაფხეკებითურთ თითო 75 კ.; შეკვეთილია შეფფილდში განსაკუთრებით ინგლისურ მაღაზიისთვის საუკეთესო სამართებლები, რწყვილი ბუდეებით ღირს 4 მან.; შეფფილდის დანები ჩანგლებიანათ დუჟინი 2 მ. 75 კაპეიკიდამ 20-მანეთამდე. ჩაინიკები ბრიტანიის მეტალისაგან 30 კაპეიკიდამ 3 მანეთამდე; ციტრატ-მაგნეზია, ოსმალოს შარბათი და სამწყურვალო კვერების ბანქა 70 კ.; საუკეთესო პორტ-ვეინი და ხერესი 1 მ. 40 კ. ბოთლი, და შამპანიის ღვინო ბოთლი 3 მან. და სხვ. ინგლისურს მაღაზიაში.

(40—40)

---

იყიდება

ახალი წიგნი

სამწერლო,

## თაიგული

გამოცემული ილია ჭყონიასაგან.

შინაარსი:

I. ბაბუას თხოვნა (ლექსი) მ. ფაზელისა II უბედური შემთხვევა (ამბავი) ჭ—სა. III ჩემს სურათებზე (ორი ლექსი) მ. ფაზელისა. IV მ... სადმი (ლექსი) გ—სა. V. ფერი ფერს—მადლი ღმერთს სამ მოქმედებიანი კომედია ცელილ. თარგმ. ალექსი ჭიჭინაძისაგან. VI ჩივილი ხვედრისადმი (ლექსი) რაფ. ერისთვისა. VII ხასიათის გაცლენა, სამუელ სმაილსისა VIII უკითხავი პასუხი (ლექსი) ნ. დ—სა. IX ახალი მოვლინება ჩვენს ლიტერატურაში. X მტარვალებს (ლექსი) აკაკისა.

ტფილისში, ჩარკვიანის წიგნის და აზნაუროვის მაღაზიაში გოლოვინის პროსპექტზე და „არარატის“ წიგნის მაღაზიაში მიხაილოვის ხიდთან.

ქუთაისში პ. ф. გერარდის წიგნის მაღაზიაში.

ფასი თითო წიგნისა ხუთი შაური, გაგზავნით სხვა ქალაქებში სამი აბაზი.

---

დაიბეჭდა და ისყიდება ვართანოვის წიგნის მაღაზიაში

## ა ლ ე ქ ს ი

ზღაპარი აკაკისა

ფასი თითო წიგნისა 20 კ.

Дозволено цензурою. Тифлисъ 8 Августа 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი